ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N5

ანუშ განეში - „ციფრულ პლატფორმებზე კონკურენციის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ევროპაში და მათი მიმართება ტრადიციულ კონკურენციის კანონმდებლობასთან“

2024 წლის 2 ივნისი, 19:00-20:30 (ონლაინ რეჟიმში)



მოწვეული ექსპერტის შესახებ

დოქტორი ანუშ განეში - კონკურენციის სამართლის ლექტორი ლიდსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). მკვლევარი საერთაშორისო პროექტში „Shaping Competition in the Digital Age (SCiDA)“, სადაც ხელმძღვანელობს პოდკასტს ციფრული კონკურენციის სამართლის აქტიურ თემებზე და ინტენსიურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ამავე მიმართულებით. მისი სტატიები მიმოიხილავენ დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირისა და ინდური ციფრული კონკურენციის სამართლის სიახლეებს. ამჟამად, მისი კვლევის საგანია დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ციფრულ პლატფორმებზე კონკურენციის მარეგულირებელი აქტების შედარებითი ანალიზი, მათ შორის პლატფორმებზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ჭრილში.

ვებინარის შესახებ

თანამედროვე ეპოქაში, ჩვენი ცხოვრება დიდი ციფრული პლატფორმების (მაგ. Apple, Facebook, Microsoft, Google) გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. ამავდროულად, ეს პლატფორმები კონკურენციის სამართლისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენენ. საერთაშორისო კონსენსუსით, ტრადიციული კონკურენციის სამართლებრივი ნორმებით მათი რეგულირება სასურველ შედეგს ვერ იძლევა. სწორედ ამიტომ, ევროპაში - კონკრეტულად ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში - შემუშავდა სპეციფიკური სამართლებრივი აქტები (მაგ. EU Digital Markets Act), რომლებიც ციფრული პლატფორმების საბაზრო კონკურენციას განსხვავებულად არეგულირებს. რას მოიცავენ ეს აქტები? რით განსხვავდებიან ტრადიციული კონკურენციის სამართლებრივი რეგულირებისგან? რა როლი ენიჭება მათ გვერდით ტრადიციულ კონკურენციის სამართალს? ვებინარი სწორედ ამ საკითხების განხილვას დაეთმობა.

ვებინარზე დარეგისტრირება შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://forms.gle/x3G4ctuhTMWPdRLy6

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/